

წამების აკრძალვა

ნაზიბროლა ჩინჩალაძე

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

PROHIBITION OF TORTURE

Naziblola chinchaladze

Candidate of Legal Science, Associate Professor

რეზიუმე

სტატია აღწერს წამების, როგორც საერთაშორისოდ აკრძალული დანაშაულის ბუნებას, 1984 წლის წამების წინააღმდეგ კონვენციით, 1950 წლის ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენციითა და სხვა შესაბამისი აქტებით, ისევე როგორც საქართველოს შიდა კანონმდებლობას, მის კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის კოდექსს. ასახელებს ზოგიერთ ფაქტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს საპყრობილეებში, ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის პირობებში, როდესაც ეს პარტია მართავდა ქვეყანას. გაკეთებულია საჭირო შედარებები და დასკვნები იმ მკითხველთათვის, რომლებსათვისაც ჯერ კიდევ გაუგებარია წამების არსი, მისი სუბიექტების პრობლემა და იმ სახელმწიფოთა საერთო ვალდებულებები, რომლებმაც მოახდინეს არც ისე ცნობილი 1984 წლის წამების წინააღმდეგ კონვენციის რატიფიკაცია. სტატია დაეხმარება და გამოადგება სამართლის სკოლების სტუდენტებს, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ჩათვლით, რომლებიც ამ კონკრეტული საკითხის ირგვლივ დაინტერესებულნი იქნებიან, ახალი ინფორმაციითა და სულ უფრო ახალი პუბლიკაციებით (წიგნების ჩათვლით) რომელთა ავტორები არიან ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის მქონე საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, რომლებმაც თავიანთი ნაშრომები ამ პრობლემატურ თემას მიუძღვნეს. მაგალითად, პროფესორ ფილიპ სენდსის „წამების გუნდი“, რომელიც 2008 წელს გამოვიდა.

RESUME

Present article describes nature of torture as internationally prohibited crime, according to the 1984 Convention Against Torture, 1950 European Convention on Human Rights and other relevant international acts, as well as domestic legislation of Georgia, its constitution and criminal code. Some facts of torture, which took place in prisons of Georgia while regime of National Movement, when they governed this country as a ruling party, are mentioned. Some useful comparisons and conclusions are made for those readers, who still can not recognize the scope of torture, the problem of its subjects and basic obligations of the states, which had ratified not very famous 1984 Convention Against Torture. The article will assist students of law schools, including graduate ones, having interest in this particular issue and in gaining new information about most recent publishing (books) of the most qualified international lawyers, who dedicated their works to this problematic topic, for example Torture Team written by professor Philippe Sands in 2008.

მეორე მსოფლიო ომის საშინელებათა შორის ერთ-ერთი ადამიანთა წამება იყო, რამაც პლანეტა დედამიწის მაშინდელი წამყვანი პოლიტიკური ფიგურები და ისინიც ვინც მათ გარემოცვას შეადგენდა დააფიქრა იმაზე, რომ საჭირო იყო ახალი ინსტიტუციებისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შექმნა, რომლებიც ბრძოლას გამოუცხადებდა ამ ამაზრზენ დანაშაულს. 1945 წელს ანტი-ჰიტლერული კოალიციის წევრებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დააარსეს, ხოლო 1948 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია¹ იქნა მიღებული, რომელსაც ელვანორ რუზველტმა Magna Carta უწოდა. შემდგომ 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია,² რომელიც 1953 წლის 3 სექტემბერს შევიდა ძალაში, ამას მოჰყვა 1966 წლის პაქტები,³ და 1984 წლის კონვენცია წამების წინააღმდეგ⁴ თავის 1993 წლის ფაკულტატიურ ორ ოქმთან ერთად⁵. 2006 წელს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის შესაბამისი სპეციალისტებისა და პროფესორ ფილიპ სენდსის ერთობლივი ძალისხმევით გამოვიდა წიგნი, სამართალს მოკლებული მსოფლიო⁶, სადაც ცალკე თავი, ტერორისტები და მწამებლები დაეთმო წამების საკითხებს, თუმცა სხვა თავებშიც ეს დანაშაული ადეკვატურ კონტექსტშია განხილული. 2008 წელს კი ამავე ავტორმა ცალკე წიგნად გამოსცა პრობლემა სახელად „წამების გუნდი“⁷, რომელშიც მთავარი თემა, დონალდ რამსფელდის მემორანდუმში და ამერიკული ფასეულობების უგულვებელყოფა წამების დანაშაულის გახშირებით არის გაშუქებული, გაანალიზებული და შეფასებული. უკანასკნელი ამ წიგნის გამოცემა იმან განაპირობა, რომ მსოფლიოსათვის სერიოზული საფრთხე ხდება მაღალი თანამდებობის პირების მიერ იმ დანაშაულის სანქციონირება, რომელიც საერთაშორისო ხასიათისა დანაშაულს წარმოადგენს და აკრძალულია 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით, რომელსაც ებრძვის 1984 წლის კონვენცია წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და საჯჯელის წინააღმდეგ⁸. იგი ძალაში შევიდა 1987 წლის 26 იანვრიდან თავისი 27(1) მუხლით. აღნიშნულ კონვენციას საქართველო მიუერთდა პარლამენტის 22.12.1994 წლის N 1493 დადგენილებით და პარლამენტის 07.07.2002 წლის N1493 დადგენილებით კონვენციის 21-ე და 22-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად საქართველო აღიარებს კონვენციით გათვალისწინებული წამების წინააღმდეგო კომიტეტის კომპეტენციას. წამების წინააღმდეგ კონვენციის ერთ ფაკულტატიურ ოქმს, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 22 ივნისიდან, საქართველო მიუერთდა პარლამენტის 2005 წლის 8 ივლისის N1889-რს დადგენილებით. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს საზოგადოებამ ორიოდე წლის წინათ სატელევიზიო ეთერით იხილა საქართველოს სასჯელალსრულების დანესებულებაში სისტემურად ჩადენილი ამ აკრძალული ქმედების დაუბრკოლებელი დინების მაგალითები და რო ჩვენი საზოგადოებისათვის წამება დაუსჯელი დანაშაული აღმოჩნდა საჭიროდ მიმაჩნია ამ სტატიაში განვიხილო 1984 წლის უნივერსალური კონვენცია, ვრცლად, მისი ფაკულტატიური ოქმის რამოდენიმე საკითხი, 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი კომენტართან ერთად და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებიც. პროფესორი სენდსი თავისი წიგნის, „სამართალს მოკლებული მსოფლიო“ თავში, რომელიც დასათაურებულია ამგვარად, - „მაგარი ბიჭები და იურისტები“⁹, აღფრთოვანებით იგონებს, რომ თეირანში სამართლის სკოლის ასპირანტებთან შეხვედრაზე იგი გაოცებული დარჩა წამების კონვენციისა და

¹ ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული პირველი ნაწილი სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა თბილისი 2001 გვ.5.

² ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული მეორე ნაწილი სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა თბილისი 2001 გვ.25.

³ ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული პირველი ნაწილი სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა თბილისი 2001 გვ.115

⁴ ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული პირველი ნაწილი სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა თბილისი 2001 გვ.255.

⁵ <https://www.icrc.org/eng/resources/documents/misc/57/jpg5.htm>.

⁶ Philippe Sands Lawless World Penguin Books 2006 p.205.

⁷ Philippe Sands Torture Team Palgrave macmillan 2008.

⁸ ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული პირველი ნაწილი სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა თბილისი 2001 გვ.255.

⁹ Philippe Sands Lawless World Penguin Books 2006, p.223.

ჩილეს ყოფილი სენატორის აუგუსტო პინოჩეტის მიერ ლონდონის სასამართლოების იურისდიქციის-
აგან იმუნიტეტზე პრეტენზიის გაცხადების მოთხოვნის საკითხების მათი ზედმიწევნით ცოდნით. პი-
ნოჩეტის იურისტებს ამ კონვენციის არსებობის შესახებ სწორედ რომ არაფერი სცოდნიათ. ამ შთაბე-
ჭდილების ქვეშ მეც მოვექეცი და მინდა ჩემმა სტუდენტებმა და ჩვენი საზოგადოების სხვა წევრებმაც
ვისაც ეს თემები აინტერესებს, ამ სტატიის მეშვეობით კიდევ ერთხელ გაიგონ, რომ წამება აკრძალუ-
ლია და ის დასჯადია, დასჯადია 1984 წლის კონვენციის მაღალი ხელმოწერი სახელმწიფოების
ეროვნული კანონმდებლობებითაც და რომის სტატუტითაც¹⁰, რომელიც 1998 წლის 17 ივლისს მიიღეს
და 2002 წლის 1 ივლისიდან შევიდა ძალაში. თანამდებობა არ ათავისუფლებს პირს სისხლის სამართ-
ლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ მას წამება აქვს ან ჰქონდა ჩადენილი. გასაკვირია რომ, პინოჩე-
ტის ადვოკატები სწორედ ყოფილ თანამდებობაზე აპელირებდნენ, რომ გაემართლებინათ უკვე თა-
ნამდებობიდან წასული აუგუსტო. დავიწყოთ საქართველოს კონსტიტუციით, რომლის მე-17 მუხლის
მე-2 პუნქტში ვკითხულობთ: „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და
ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.“ კონსტიტუციის ეს მუხლი ფაქტიურად
იმეორებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლის ენას, სადაც გარკვევით
წერია: „არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაჰუმანურ ან ღირსების შემ-
ლახავ მოპყრობას ან სასჯელს.“ სტილისტურად ოდნავ განსხვავებულია, მაგრამ შინაარსობრივად
იგივეა, ცოტა უფრო ხისტია 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი
- წამების აკრძალვა, რომელშიც ასეთი ფრომულირებაა: „არავინ არ შეიძლება გახდეს წამების, არაა-
დამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი.“ საქართველოს კონსტიტუციის
მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის კომენტატორები წერენ: „ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან
პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება ადამიანის ღირსებისა და მისი
სხვა ძირითადი უფლებების ერთ-ერთი უმძიმესი დარღვევაა“.

ადამიანის უფლება - იყოს წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახ-
ვი მოპყრობისა და სასჯელისაგან დაცული - აბსოლუტური უფლებაა. ეს უფლება შეეხება მხოლოდ
ფიზიკურ პირებს. საქართველოს, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემ-
კვრელ მხარეს, უფლება არ აქვს, უარი თქვას ამ აკრძალვის შესრულებაზე ომის ან საგანგებო მდგო-
მარეობის დროს. ეს უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით.
მასთან მიმართებაში არ მოქმედებს შეფასების თავისუფლების დოქტრინა, რომლითაც დაშვებული
იქნებოდა, რომ საქართველოს ან კონვენციის ხელშემკვრელ სხვა რომელიმე მხარეს ამ აკრძალვიდან
რაიმე გამონაკლისი გაემართლებინა.“¹¹ კომენტარი ამომწურავია. ამ სტატიის მიზანი არ არის ისეთ
წერილმან დეტალებში წვდომა რაც ისედაც გასაგებია, მთავარია მკითხველმადიანახოს აკრძალვის
აბსოლუტური ხასიათი და სისხლის სამართლის იურისდიქციისაგან გამონაკლისების დაუშვებლობა,
რაც კარგად სჩანს 1984 წლის კონვენციაში. აკრძალვა კატეგორიულია სამოქალაქო და პოლიტიკურ
უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით,¹² ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის
მე-5 მუხლით,¹³ ადამიანის და ხალხის უფლებათა ქარტიის მე-5 მუხლით.¹⁴ მაგრამ 1984 წლის წამების
წინააღმდეგ კონვენციის პირველი მუხლის პირველ პუნქტშივე ასეთი გამორიცხვაა, - „არ იგულისხ-
მება ტკივილი და ტანჯვა, რომლებიც წარმოიშობა მხოლოდ კანონიერ სანქციათა შედეგად, ან სანქ-
ციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მისგან გამონვეული.“ აქედან გამომდინარე აბსო-
ლუტური აკრძალვიდან მაინც, რაღაც გამონაკლისი არის დაშვებული, მაგრამ წამდვილად ჩადენილი
დანაშაულისათვის ადექვატური სასჯელის კონტექსტში.

ახლა რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ენას. კანონმდებელმა ეს დან-

¹⁰ www.icc-cpi.int/nr/rdonlyres/ea9aef7.../0/rome_statute_english.pdf.

¹¹ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლება-
ნი და თავისუფლებანი. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი 2013. გვ.115-116

¹² ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული პირველი ნაწილი
სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა თბილისი 2001 გვ.119.

¹³ www.oas.org/juridico/english/treaties/b-32.html.

¹⁴ <https://www.icrc.org/eng/resources>

აშაული მოაქცია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, რითაც კოდექსი ალბათ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დებულებებთან მოჰყავს სინქრონიზში, თუმცა ჩემის აზრით წამება ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიასაც განეკუთვნება, რადგან ყოველ წამებას ადამიანის ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხით დაზიანება მოსდევს, ხოლო წამების ზოგიერთმა ფორმამ, მაგალითად როგორცაა ხელფეხშეკრული ან დაბმული ადამიანისათვის თავზე პოლიეთილენის პარკის ჩამოცმა, შესაძლოა ადამიანი ასფიქსიის მდგომარეობამდე მიიყვანოს და სიკვდილი გამოიწვიოს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 პრიმა მუხლი ასეთი შინაარსისაა: „წამება, ესე იგი პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით ინვესტირებული ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.“¹⁵ როგორც ვხედავთ კოდექსი საკმაოდ ფართოდ განმარტავს წამებას. ვიდრე ამავე მუხლით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებზე გადავიდოდე მინდა შევნიშნო, რომ მენტალურ ანუ გონებრივ წამებასაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როგორც ფილიპ სენდსი წერს თავის ნიგნში სამართალს მოკლებული მსოფლიო წამების ეს ფორმა გვანტანამოსპატიმრებთან იქნა გამოყენებული, როდესაც ისინი უმცროსი ჯორჯ ბუშის ბრძანებით უკანონოდ აიყვანეს ერაყში და შემდგომ განუსაზღვრელი ვადით მოათავსეს გვანტანამოს ბაზაზე, იმიტომ რომ ბუში მათ თვლიდა ტერორისტებად და ალ-ქაიდასთან კავშირში მყოფ პირებად. იქვე ამოკითხული მახასიათებლებიდან მე მეჩვენება, რომ მენტალური წამება ფსიქიკურის და/ან მორალურის ნაირსახეობა არ არის, ის ცალკე კატეგორიაა. სავარაუდოდ მენტალურ წამებას საქართველოს საპყრობილებშიც ჰქონდა ადგილი, რადგანაც რამოდენიმე პატიმრის მონათხრობიდან, რაც დაიბეჭდა პრესაში და ტელევიზიითაც გაჟღერდა სჩანს, რომ მწამებლები შეზღუდული არ იყვნენ ფანტაზიაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 პრიმა მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებებია, „იგივე ქმედება ჩადენილი:

- ა. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;
- ბ. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- გ. არაერთგზის;
- დ. ორი ან მეტი პირის მიმართ;
- ე. ჯგუფურად;

ვ. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის გამო;

ზ. დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასწრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ;

- თ. შეკვეთით;
- ი. მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით.“¹⁶

თუ 144 პრიმა მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის კოდექსი ითვალისწინებს შვიდიდან ათ წლამდე ვადით, ჯარიმით თავისუფლების აღკვეთას, წამების დამამძიმებელ გარემოებებში ჩად-

¹⁵ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი თბილისი 2014.
¹⁶ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი თბილისი 2014.

ენისათვის, მათ შორის მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თუ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სანქცია უფრო მძიმეა, ცხრიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

ისეთი დამამძიმებელი გარემოება, როგორცაა ნამება ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ისჯება თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ხუთ წლამდე ვადით. როგორც ვხედავთ თანამდებობის პირის მიერ ნამების ჩადენა იმუნიტეტს კი არ წარმოშობს, არამედ უფრო მძიმე სასჯელის შეფარდებას განაპირობებს საქართველოს კანონმდებლობითაც კი, ქვეყნისა სადაც ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები უხეშად ირღვევა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144(2) მუხლი ნამების მუქარაა, ეს ნამებასთან შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულია და მოიცავს იგივე პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარას, განხორციელებულს იმავე მიზნით რაც 144 პრიმ მუხლითაა გათვალისწინებული. მუქარისათვის სანქცია მსუბუქია, გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ვადით. ნამების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი იმდენად მაღალია და მისი ჩადენის ფორმები იმდენად მრავალფეროვანი, რომ მისი მუქარაც გარკვეულ ფსიქიკურ ტანჯვას შეიძლება ანიჭებდეს ადამიანს, თუმცა ეს მტკიცებულებებზე დაყრდნობით კვალიფიკაციის საკითხია.

რადგან საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების განხილვა დავასრულეთ გეგმის მიხედვით მივედით 1984 წლის კონვენციასთან ნამების

წინააღმდეგ. ჩემს სტუდენტებთან დისკუსიების დროს გამოიკვეთა ზოგიერთი მათგანის ისეთი მიდგომა, თითქოსდა 1984 წლის კონვენციის მიხედვით ნამება შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ თანამდებობის პირმა. ეს ასე არ არის! 1984 წლის კონვენციის 1 მუხლი განმარტავს, რომ ტერმინი „ნამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტკივილს ან ტანჯვას,“ როგორც ვხედავთ თანამდებობის პირი აქ სრულიადაც არ ფიგურირებს, მაგრამ შემდგომ იმავე მუხლით განმარტებულია, რომ „ასეთი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებული ნამებით ან თანამდებობის პირის უსიტყვო თანხმობით, ან სხვა ისეთი პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა უფიციალური სტატუსით,“ ამდენად 1984 წლის კონვენციით ნამების სუბიექტი შეიძლება იყოს, როგორც რიგითი მოქალაქე, ისე მაღალი თანამდებობის პირი, ან ამა თუ იმ თანამდებობის პირი ან ნებისმიერი უწყების რიგითი მოხელე. უალრესად მნიშვნელოვანი ვალდებულებაა ჩამოყალიბებული კონვენციის მაღალი ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით. „არავითარი განსაკუთრებული, გარემოება, როგორც არ უნდა იყოს იგი, იქნება ეს საომარი მდგომარეობა, თუ ომის საფრთხე, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა სახის საგანგებო მდგომარეობა, არ შეიძლება ჩაითვალოს ნამების გამართლებად.“ ფორმულირება კატეგორიულია. ზემდგომი თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს ბრძანება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ნამების გამართლებად (მუხ. 2. პ. 3). შემდგომ კონვენციის მე-4 მუხლით დადგენილია ყოველი მონაწილე სახელმწიფოს საეთო ვალდებულება, რომ ნამების ყოველი აქტი ითვლებოდეს დანაშაულად ამ კონკრეტული სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით და იყოს დასჯადი სასჯელის შესაბამისი ზომის განსაზღვრით, მათი სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით. „არც ერთმა მონაწილე სახელმწიფომ არ უნდა გააძეოს, დააბრუნოს ან გადასცეს რომელიმე პირი სხვა სახელმწიფოს თუ არის სერიოზული საფუძველი ეჭვისათვის, რომ მას იქ დაემუქრება ნამების საფრთხე.“(მუხ.3 პ.1). ამ კონტექსტში მინდა გავიხსენო რამოდენიმე წლის წინათ, მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რუსეთის ფედერაციამ საქართველოს მთავრობისაგან მოითხოვა ჩეჩენი ახალგაზრდის გადაცემა, რაზეც საქართველოს მთავრობისაგან კატეგორიული უარი მიიღი, სავარაუდოდ იმიტომ, რომ ჩეჩენ ახალგაზრდას იქ სწორედ ნამება ელოდა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ქ-ნ თეა წულუკიანის განცხადებამ ნათელყო, რომ საქართველო არ დაარღვევდა ნამების წინააღმდეგ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს.

იურისდიქციის დადგენის საკითხებს ეხება კონვენციის მე-5 მუხლი, რომელიც ასეა ფორმულირებული: „ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს

მე-4 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობათა მიმართ მისი იურისდიქციის დასადგენად შემდეგ შემთხვევებში:

- ა. როცა დანაშაული ჩადენილია მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, ან ქვეყანაში რეგისტრირებულ საზღვაო ან საჰაერო ხომალდზე;
- ბ. როცა სავარაუდო ბოროტმოქმედი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა;
- გ. როცა მსხვერპლი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა ან თუ მოცემულ სახელმწიფოს ეს მიზანშეწონილად მიაჩნია¹⁷.

თავისი იურისდიქციის დასადგენ მოქმედებათა ფარგლებში კონვენციის ხელმომწერი მხარე იღებს ყველა საჭირო ზომას, ისეთ შემთხვევაში კი როცა სავარაუდო ბოროტმოქმედი იმყოფება მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე და შესაბამისად არ გადასცემს მას ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს. გადაცემის საკითხები რეგულირდება ამავე კონვენციის მე-8 მუხლით, სადაც დაზუსტებულია, რომ ნამება ამ კონვენციის „მონაწილე სახელმწიფოთა შორის გადაცემის თაობაზე, დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში შეტანილი უნდა იქნეს, როგორც დანაშაულობანი, რომლებიც იწვევს ექსტრადიციას.“ (პ.1). მაგრამ კონვენცია „არ გამოორიცხავს ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი იურისდიქციის განხორციელებას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.“ (მუხ.5.პ.3). ამ დებულებით ვლინდება კონვენციის ფარგლებში ეროვნული კანონმდებლობის პატივისცემა.

1984 წლის ნამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-17 მუხლით იქმნება ნამების კომიტეტი, რომლის კომპეტენცია განსაზღვრულია 21-ე და 22-ე მუხლებით. კომიტეტი ანგარიშვალდებულია გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე (მუხ. 24). კონვენციის ფაკულტატიური ოქმის მე-2 მუხლის პუნქტი 1 ითვალისწინებს ნამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტთან ნამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტს, რომელიც შეასრულებს ოქმში გაწერილ შესაბამის ფუნქციებს. როგორც კომიტეტში ისე ქვეკომიტეტში წევრთა რაოდენობა შეადგენს ათს. ქვეკომიტეტის წევრთა რაოდენობა მისი რატიფიცირების ან მასთან მიერთების რაოდენობის გაზრდის მიხედვით იზრდება ოცდახუთამდე. პრევენციის ქვეკომიტეტის მანდატი განსაზღვრულია ოქმის მე-11 მუხლით. ოქმის მე-17 მუხლი აკისრებს ოქმის მონაწილე სახელმწიფოებს საერთო ვალდებულებას ოქმის ხელმოწერიდან ერთ წელიწადში დანიშნოს ან შექმნას ნამების პრევენციის ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ეროვნული მექანიზმი ადგილობრივ დონეზე. ნამების თავიდან აცილების მიზნით პრევენციის ეროვნული მექანიზმების წლიური ანგარიშების გამოქვეყნება სავალდებულოა (ოქმის მუხ. 22). სტატიის დასასრულისათვის მინდა ყურადღება გავამახვილო იმ გარემოებაზე, რომ მკვლელობა ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი დანაშაულია, მაგრამ არც ერთ საერთაშორისო აქტში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით დაწყებული 1966 წლის უფლებათა აქტებით დასრულებული, არ არის მკვლელობის აკრძალვა, როგორც ასეთი მაგრამ ნამება აბსოლუტურად და კატეგორიულად აკრძალულია. არც ერთი გარემოება და ვითარება არ ამართლებს ნამებას და 1984 წლის ნამების წინააღმდეგ მიმართული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, რომ იგი მათი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაისჯება.

¹⁷ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ლექსიკონი-ცნობარი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2003, გვ. 160.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. Philippe Sands Lawless World Penguin Books 2006;
2. Philippe Sands Torture Team Palgrave Macmillan 2008;
3. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული პირველი და მეორე ნაწილი, სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა თბილისი 2001.
4. საქართველოს კონსტიტუცია თბილისი 2014.
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი თბილისი 2014.
6. www.oas.org/juridico/english/treaties/b-32.html.
7. <https://www.icrc.org/eng/resources>
8. www.icc-cpi.int/nr/rdonlyres/ea9aeff7.../0/rome_statute_english.pdf
9. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ლექსიკონი-ცნობარი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2003.
10. 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
11. 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
12. 1984 წლის კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და სასჯელის წინააღმდეგ და მისი ფაკულტატიური ოქმი.